



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზბიანი გაზეთი. ბაჟოდის ქოველ კვირა ღღს.

№ 53

დღეამბერი, 23 1895 წ.

№ 53

შინაარსი: როგორი ციხის შკოლათ უნდა გადაიქმნეს ახლანდელი ჩვენი სათავდაზნაურო შკოლა.—სხვა დასხვა ანბეზა.—საქველ-მოქველ საქმე.—ჩვენი სახიობა, მახაკალისა.—ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან, ა გარსევანაშვილისა.—სოფელი და სასოფლო შკოლა გერმანიაში, საზღვარ-გარეთელსა.—აღუქსანდრე რანგაჯი, ერთი გმირთაგან, განთავის-სუფლებული საბერძნეთის; ანდ. დ.—შვილისა.—ბიბლიოგრაფია.—განცხადებუბა.—

როგორი ციხის შკოლათ უნდა გადაიქმნეს ახლანდელი ჩვენი სათავდაზნაურო შკოლა.

ჩვენი მოგვივიდა ქართულ-რუსეთის დასტამბული შრომა იმ კამისისა, რომელიც თავდაზნაურობამ ამოიჩინა ამ ორი წლის წინათ, რომ მას წარმოედგინა თავისი ერთი მოსახრება, თუ რა თვისების შკოლათ უნდა გადაიქმნეს ახლანდელი ქართლ-კახეთის სათავდაზნაურო შკოლა. რამ გამოიწვივა ასეთი საჭიროება და სად აქვს მას სათავე? ამის პასუხათ უნდა მოვიგონოთ ის წამი ჩვენი თავდაზნაურობის თვით-ცნობიერებისა, როდესაც მან განიზრახა თავისი საკუთარი შკოლის დაარსება, რომ ხელი გაემართა შეუძლო თავდაზნაურობის შვილებისთვის და მათი სწავლა-განათლების საქმე წინ წავედო, რადგან სოფლათ მყოფს შეუძლო თავდაზნაურობას ხელმოკლეობის გამო არ შეეძლო გათანასწორობა და ქალაქის მცხოვრებლებს შვილების აზრდაში. სწავლა განათლებით ჩამოჩენილმა სოფლის თავდაზნაურობამ განიზრახა ერთი ნაწილი თავის ბანკის ნაღდი შემოსავლისა გადაედვა თავის შვილების ასაზრდელათ.

რა გზას დაადგა იგი ამ კეთილშობილურ მისწრაფებაში? ის დაადგა იმ სამეცნიერო პედაგოგთურს პრინციპს, როგორიც მოქმედებდა ყოველს განათლებულს ქვეყანაში, როგორიც თვით რუსეთის წარჩინებულმა პედაგოგებმა აღიარეს და დამკვიდრეს რუსეთის ერის შთამომების ასაზრდელათ. ეს პრინციპი იყო ის, რომ ნორჩი ახალგაზდა მშობლით თავის საშობლო ენაზე უნდა განვითარდეს, თუ უნდა მშობელს და თვით სახელმწიფოსაც, რომ ახალმოზარდი თომა იწივით არ დაიჩაგროს, არ დამახინჯდეს, არამედ თვისი ბუნებითი გონების მოთხოვნილებებისგან განვითარდეს და შეირკოს, შეითვისოს შესაფერი პირველ-დაწყებითი სწავლა და გონების წვრთნა. აი, ამ უტუტუარი ქვეშაირტებეს მიხედვით ქართველმა თავდაზნაურობამ დაარსა თავისი შკოლა, რომ მისი შვილები უკეთ მომზადებულნი იყვნენ უმაღლეს მთავრობის შკოლებში სწავლის გასაგრძობათ. ჩვენი თავდაზნაურობა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა იმავე ძირითადი პედაგოგის პრინციპით, როგორსაც მიდევდა თვით კავკასის სამოსწავლო დაწესებულება რუსის ყმაწვილების შესახებ. დაარსდა ჩვენი სათავდაზნაურო შკოლა, გულ-მხურეველეთ მოკიდეს ხელი ჩვენმა უმაღლეს სასწავლებელში

კურს-დასრულებულმა მასწავლებლებმა თავისი ნორჩი თანამოძმეების სწავლებას, მალე ახალმოზარდმა ქართველმა მოწაფეებმაც გამოიჩინეს თავისი ბუნების შესაფერისი სიმკვირცხვით. ახლა იმათ ეძლეოდათ სამშობლო ენაზე პირველ-დაწყებითა სწავლა, რომლის მეოხებითაც მოწაფენ სწრაფად და მკვირცხვით ითვისებდნენ, როგორც გონების საზრდას, აგრეთვე სახელმწიფო ენასაც სამშობლო ენის მეოხებით. საფიქრებელი იყო, რომ უმაღლესი კაცისთვის მთავრობა სიხარულით უნდა შეგებებოდა ასეთს მოვლენას და თავის საშუალო სასწავლებელთა კარებს უნდა დაეღო სათავად-აზნაურთა შკოლაში გონიერათ მომზადებულ მოწაფეებისათვის. მაგრამ სამწუხაროთ აქ ჩატყდა ხიდი. ის, რაც რუსის მოწაფეებისათვის ბუნების მოთხოვნილებათ მიიჩნიეს, ქართველი მოწაფისათვის შეწყნარებული არ იქნა. კაცსარის სამოსწავლო მთავრობამ უმტყუნა თავისევე მცნებას ქართველი მოწაფეების შესახებ და ბუნების ნიადაგზე მომზადებულს თავდა-აზნაურობის შკოლის ყმაწვილებს სცხა რამ მოთხოვა, რომელიც მის ბუნებას არ შეეფერებოდა. იმან აღარ მიაქცია არაერთარი ყურადღება, ქართველი მოწაფე თუ რამდენათ იყო გონებით განვითარებული და სწავლის მოხალისე. იმან მისი გონებით განვითარება კი აღარ მიიღო მხედველობაში, არამედ მოთხოვა მას მხოლოდ რუსული ენის ისეთივე ცოდნა, როგორც თვით რუსის მოწაფეებს. და ეს კი შეუძლებელი და მარეზულიც აღმოჩნდა ქართველი მოწაფის გონებისათვის. ასეთმა ჰედაგოგის პრინციპის წინააღმდეგა შეხედულებამ კარი მიუხურა ჩვენ ქართველ მოწაფეებს მთავრობის სასწავლებლებში. ბოლოს იმდენზე მივიდა საქმე, რომ სათავად-აზნაურთა შკოლის მოწაფე რაც უნდა კარგათ მომზადებული ყოფილიყო, მაინც ძალიან იშვიათათ ეღირსებოდა მას მთავრობის შკოლაში შესვლა მისი ცოდნის და მომზადების შესაფერათ. განა აქ თავდა-აზნაურობის შკოლა იყო დამნაშავე, განა ამაში მათთვის თავგანწირულნი და შეგნებულნი მასწავლებელნი იყვნენ დანაშაულნი? არა და არა. აქ დამკვიდრდა ქართველი მოზარდი თაობისათვის ჰედაგოგის წინააღმდეგი უკუღმართი პრინციპი. რაც უტხოსთვის კანონიერი და ბუნების შესაფერი მოთხოვნილება იყო, ქართველი მოწაფისათვის უკანონობათ და ბუნების წინააღმდეგობათ გადაიქმნა. აქ ძალ-მომკრევი და უბედური გარემოება შეებრძოლა ჩვენ თავდა-აზნაურობის შკოლას. ჩვენმა საზოგადოებამ კი ამას ყური მოუყარა, არ ჯეროდა ეს ამაზე. იმისმაცერათ, რომ ჩვენ თავდა-აზნაურობას და მის წარმომადგენლებს უმაღლესი მთავრობისთვის დაენახებინათ ასეთი მოვლენიერი ადგი-

ლობრივი უბედური გარემოება ქართველ ახალ-მოზარდათათვის და თავისი ბუნებით აზრდის წესი მედრათ დაცვათ, გამოდგენ გულმანკიერნი და უყურთური განზარებით აღჭურვილნი პარტიის კაცები და დაუწყეს თვით ჩვენ შკოლას კიცხვა და თავდა-აზნაურობას შეგონება, რომ შენი შკოლა არ ვარგავთ, ხარჯი ბევრი მიდის და სარგებლობა იმდენი არა მოაქვს რაო, ამიტომ რომ იქიდან ცოტანი გადადიან მთავრობის სასწავლებლებშიო, არც შკოლის ზედამხედველი, არც მასწავლებელნი აღარ განიკითხეს. ამასხით თვალთმაქცურმა პარტიულმა შეხედულებამ ჩვენი თავდა-აზნაურობის შკოლის წმინდათა წმინდა მინარეთულება დაჯგომო და მისი მასწავლებლების თავგანწირული შრომა გააქარწყლა. აი, ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ საზოგადოებაში აღიძრა შკოლაზე დრტინევა და ერთათ ერთი საუკეთესო ქართული ცრონების განმამტკიცებელი საქმე—თავდა-აზნაურობის შკოლა—ეს მისი ძვირფასი საუნჯე—საფრთხეში ჩავარდა. ზოგიერთნი, ვითომ და დიდი გულშემატკივარნი ჩვენის მოზარდი თაობისა იმასაც კი გაძახოდნენ, სათავად-აზნაურთა შკოლა, როგორც უარვის გამოუღვევარი დაწესებულება, ჰჯობია სულაც დაიკეტოსო. აი, ძირითადი გარემოება, რამაც გამოიწვია ჩვენი თავდა-აზნაურობის შკოლის ტრის შეცვლა და ხანგრძლივი მუშაობა ამ საწინის შესახებ. როგორ გგონია, მკითხველო? ვისაც მართლაც და თელში ეჩხირებოდა ჩვენი შკოლა, ვინც რომ ჰედაგოგიაში პოლიტიკა შეიტანა და ამ პოლიტიკის მიხედვით ჰსურდა, რომ ქართველ თავდა-აზნაურობას მოშლიდა მისი შთამომავის განვითარების თავისებურთი იარაღი, როგორ შეხედავდნენ ასეთ მოძრაობას ჩვენი შკოლის შესახებ? დამარწმუნეთ, ისინი ჩუმათ ტაშს უკრავდნენ და ამხნეებდნენ ჩვენს გულმანკიერებით დაბრმავებულ პუბლიცისტებს, რომ მათივე ყელის გამოქრელი დანა მათივე გველესათ: სამწუხაროთ ამის კელს თვით კამისისი მოხსნებამაც კი ცხებდათ.

აი, რას მოგვითხრობს კამისისი განყოფილება, რომელსაც მინდობილი ჰქონია ჩვენი სათავად-აზნაურთა შკოლის რევიზია, რომ გამოერკვიათ, თუ როგორ მდიოდა სწავლება ჩვენს სათავად-აზნაურთა შკოლაში:

„კამისისი განყოფილება შეუდგაო შკოლაში რევიზიას, იგი ეცნობოდა სწავლების მეთოდს და ყმაწვილების განვითარებას სწავლაშიო. იგი ხშირათ შედიოდა კლასებში, ესწრებოდა ყმაწვილების სამაგალითო გამოცდაზეო, აგრეთვე დაესწრა ზოგიერთ ეგზამენებზედაცო.“

ყოველივე ეს მოთხრობილია კამისისი მოხსენე-

ბაში, ხოლო კრებზე ჩვენ შევიტყუეთ თვით ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის პირით, რომ მაინცა-და-მაინც არაფერი მაგისთანა რევიზია კამისის განყოფილებას არ მოუხდენია და რაც მოუხდენია, იმის ანგარიში და დავთრებიც კი დაკარგვია. ყურძო გამოკითხეთ ისიც შევიტყუეთ შკოლის მასწავლებლებისაგან, რომ ჩის რევიზია, რა რევიზია?.. რევიზორები შკოლაში თვალითაც არ გინახავსო. მაგრამ მორევიზიე კამისია თავის მოხსენებაში მაინც დიდი რიხით გვითითებს შკოლის მრავალნაირ ნაკულუცევენებაზე ალექსი ჭიჭინაძის დროს და სხვათა შორის, აი, რას ამბობს: „საზნაურო შკოლას მოსამზადებელი კლასების მოწაფეების გამოცდაზე ალექსი ჭიჭინაძის დროს ცხადად დაგვანახებია, რომ ეს კლასები სწავლაში ძალიან უკან ჩამორჩენილანო“. მორევიზიე კამისიამ ალბათ საჭიროთ დაინახა, დავმტკიცებინა, რომ ალ. ჭიჭინაძეს ვერ დაუყენებია კარგა თავადაზნაურობის შკოლის მოსამზადებელი კლასებში სწავლის საქმეცო. ყველა ალექსი ჭიჭინაძე და მისი თანამოაზრე მასწავლებლები არ ვარგებულანო. და ამას ამტკიცებენ ისინი, რომელნიც, იქნება, ღირსიც არ იყვენ ალ. ჭიჭინაძის ჟურნალთა ხამლის“ ვახსნისა.

რაკი იმათ ეს სიტყვა სწავლების დაიწუნეს, ენახათ რას გვიჩვენებს სწავლების გასაუმჯობესებლათ ამავე კლასებში: „რა ზომაა უნდა ეცხმაროთ, რომ მოსამზადებელი კლასები სათავად აზნაურო შკოლისა გავაუმჯობესოთ?“ ბანძებს მორევიზიე კამისია. „რომ რუსული ენა საჭიროთ შევასწავლოთო მოწაფეებს, პირველი წლის მეორე ნახევრიდან ექვსი გაკეთილი რუსული ენისა უნდა დაეწინაოთ, რომ მეორე წლის დასაწყისს, საზოგადო, ყმაწვილებმა იცოდენ სრული კურსი რუსული ენის და ამას შემდეგ ყმაწვილებმა მხოლოთ რუსული ენაზე დაიწყონო სავნების შესწავლა, რომელთაც აქამდე წელიწად-ნახევრის განმავლობაში ქართულ ენაზე ასწავლიდნო“.

აი, ბატონებო, დამსაზურება მორევიზიე კამისიისა ჩვენი შკოლისა და საზოგადოების წინაშე განა შესაძლებელია, რომ ქართველმა სოფლის ახალგაზდა მოწაფემ ნახევარი წლის განმავლობაში ისე შეითვისოს უცხო ენა, რომ ამ ენაზე ეტერხებოდეს სწავლის გავება და სავნების შესწავლა?.. ამ სხით ჩვენი მორევიზიე კამისია გამბდარა, ნებისთ, თუ უნებლიეთ, იარაღით იმ უსულმართო მიმართულებისა, რომელსაც მსურს ჩვენი ახალგაზდაობის ნორჩი გონება განზრახ დააწილუნგოს და სწავლაში უმისისადაც უკან ჩამოყენებული, კიდევ უფრო გონებით დაბრმავოს. დედა-აზრი ჩვენის შკოლის დაარსებისა ის კი არ იყო, რომ ჩვენი ნორჩი თაობა გაუტეგარ ენაზე სწავლებით

დაემხანჯებინა, არამედ სამშობლო ენის საშუალებით განეეითარებია და შეენებულათ შეესწავლებია უცხო სახელმწიფო ენაც. მორევიზიე კამისიამ კი ძირი გაუთხარა ამ დედა აზრს და მასთან ჩვენ სათავად აზნაურო შკოლასაც დაუქარგა თავისი მწიწნელობა. მერე რა განზრახვი, რა მოზარებებო?—იმ კეკელიძე-მოზარებებო, რომ ჩვენ ყმაწვილებს უფრო მიიღებენო მთავრობის სასწავლებლებში. ეს კი დაეიწყინა ამ ახირებულს მორევიზიე კამისისა, რომ ამითი ოდნათაც წინ არ წაეა ჩვენი თავადაზნაურობის შკოლის მოწაფეების ბედ-იღბალი, იმიტომ რომ ყოველ მთავრობის სასწავლებელში შევიწროებულნი ვკანსიები და, როდესაც საკონკურსო ვგზამენებზე წარდგებიან ერთი მხრით თავადაზნაურობის მოწაფენი—ენამე ვაშლომიძე, ან გაუჩინდაშვილი—და მეორე მხრით—ივანეი, ან პეტროვი, —უტყველათ ივანოეს და პეტროეს მაინც უპირატესობა ეძლევა, ხოლო ვაშლომიძე და გაუჩინდაშვილი კონკურსის ეგზამენში მაინც დარჩებიან მიუღებლები. რაც უნდა ეცადათ, ბატონებო, სანამდის თქვენ შკოლაში ვაშლომიძეები, ან გაუჩინდაშვილები არ გამოიღვივან, მანამდის თქვენის შკოლის მოწაფეები კონკურსში ყოველთვის უკან ჩამორჩებიან. მაშ რაღაზე აიტყვიტო ტყულობა-უბრბალოთ თავი, რაღათ ცდილობთ ჩვენი პედაგოგის კენჭმოკიდების დარღვევას, ცნა გ-ნით ჩვენი თეთვანეთარების პრინციპი ვაჭაჩაწყლოთ? დააჯერეთ, ბატონებო, თქვენი თავი, რომ ქართველებისა და მისი მოზარდი თაობის გულშემატკივარნი ცხოვრების ბრძოლაში ქართველების მეტი აღარაინ არის, ზევით ლმერთს გარდა, თუ ისიც საუბედურათ ჩვენი უსულმართობით არ გავცარიხსებდია. რათ გინდა, რაშ მაინცა-და მაინც ყველა ჩვენი შვილები მთავრობის სასწავლებლებში შევრეკოთ? განა ცოჯანი არაან უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დასრულებულები, რომ იმათ სალუკმა-პურთა ადგილებს აღარაინ აძლევს? გაიგეთ, რომ იმათთვის სახელმწიფო მოხელეთა ადგილები საქართველოს ნიადაგზე აღარ არის. და თუ ეს ასეა, მაშ რაღა საჭირო ყოფილა ჩვენთვის დიპლომები? არა, ბატონებო. დადგა დრო, როდესაც ჩვენს დიპლომებსაც ცხოვრები ბრძოლაში დავხშო კარი. ჩვენ ახლა უნდა შეუღდეთ ჩვენი თეთვანეთარების საქმეს, შეიციინათ თუფრო საუფლოიანი სწავლა, ვიდრე დიპლომები გვაძლევენ და ამისთვის საჭიროა, ძირითადად შეხედულობა ჩვენ თავადაზნაურობის შკოლაზე გამოვიცვალოთ. პირველი—ჩვენ არ უნდა ხელ-ემსღვანელობდეთ იმ პრინციპით, რომ ჩვენი სათავადაზნაურო შკოლა მოგაგვაროთ კავკასიის საშუალო სასწავლებლებისათვის. ეს არის ტყუილი ცდა და

თავის ღღეში ვერ ევლირსებით, რომ ჩვენი შკოლიდან ყველა რიგიანთ მომზადებული მოწაუფები იქ გადავიყვანოთ, რადგან კავკასიის სამოსწავლო დაწესებულებაში სულ სხვა შეხედულობით ხელმძღვანელობენ. ჩვენ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ შკოლას, რაგორც დამოუკიდებელ სამოსწავლო დაწესებულებას, საიდანაც თუ ვინმე გადავლენ მთავრობის შკოლაში, კარგი და პატიოსანი, თუ არა და ისევე ჩვენ შკოლის თან-და-თან გახსნილ უმაღლეს კლასებში უნდა დავაბინოთ. მეორე — ჩვენ უნდა ვამზადოთ ჩვენ სათავად-აზნაურო შკოლაში მოწაუფები პირდაპირ უმაღლეს სასწავლებლებსათვის და სახლგარ გარეთ ვასავაზნაოთ. ამისთვის ჩვენ უნდა ხელ-შეუხებლათ დაეტოვოთ ღღეწანდელი ჩვენი სათავად-აზნაურო შკოლა და ვაგზარდოთ იგი მთელ ღღეწანაშიათ, დამერწმუნეთ, სათავად-აზნაურო გიმნაზიაში კურს დასრულებული ქართველი მოწაუფე ყოველთვის დიპტერს შესასვლელ ვგზავმეს უნივერსიტეტში, რადგან იქ სამოსწავლო მთავრობას ისეთი ცალკეობი, მიდგომითი შეხედულება არა აქვს ქართველ მოწაუფეზე, რაგორც ჩვენშია. მესამე — ნუ შევეუწყობებთ, ნუ შევეუკრავთ ჩვენს თავად-აზნაურობის პროგიმნაზიას, თუ გიმნაზიას, სამშობლო ენაზე განვითარების გზას, რადგან ეს ერთად ერთი მტკიცე გზაა, რომელიც ააყვავებს საცემბით ქართველი ახალ-

გაზდობის ნიჭს. ამის დასამტკიცებელი საბუთი წინ გვიძებს. ვისაც კი სათავად-აზნაურო შკოლიდან ელირას მთავრობის შკოლაში გადასვლა, ის ყოველთვის წინ მიდის მთავრობის გემნაზიაშიც და უნივერსიტეტშიც. ვახსენეთ თავად-აზნაურობის შკოლის მოწაუფე გამართელი, რომელმაც შარშან ოქტომბრის მდელი მილო მთავრობის გიმნაზიაში და ნიკო თავდგირიძე ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის მოწაუფე, რომელმაც რევერატრისთვის ოდესის უნივერსიტეტში ვერცხლის მდელი დაიმსახურა ზღვერის სტენი. ამასთან დაეტოვოთ ღღეწანდელი თავად-აზნაურობის შკოლა ხელშეუხებლათ, ვაგზარდოთ იგი მთელ გიმნაზიათ და ვაეუფართოვოთ მას კიდევ უფრო სამშობლო ენაზე განვითარება. ამ მხრით მაღლობის ღირსია თვით ჩვენი შკოლის გამგე კამიტეტი, რომელიც დადგამია ამ კეთილ აზრს და ფიქრობს სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის ტიპი ხელ-უხებლათ დაიცვას.

ამას გარდა თუ კი საშუალება გვექნება, ძალიან კარგი იქნება საშუალო პროგრამის სამეურნეო ზსატენიკო შკოლა სულ ცალკე გაიხსნას, რომ ვინც მოისურვებს სათავად-აზნაურო შკოლიდან, აქ შევაზროს თავი და აქ დაასრულოს თავისი სწავლა. აი, ეს გახლავთ ჩვენი გადაჭრითი აზრი სათავად-აზნაურო შკოლის ტიპის შესახებ.

სხვა-და-სხვა ამბები



ურადლების ღირსია „Новое Обозрение“-ს მოწინავე სტატია შესახებ კავკასიის გაქორციელებული სტუდენტებისა. „ქვალში“ და „ივერიაში“ ზეერჯდლ იყო ქართველ „სტუდენტების“ გაქორციელება დაბარაკი. ჩვენმა ინტელიგენციამ უჭრადლება მიუაქცია ამ საქმეს, შედგა წრე, რომელმაც შეადგინა ქართველი სტუდენტების დამხმარებელი წესდება და, მეორე, კდევ ვაგზაუნა დასამტკიცებლათ. წესდ მოსკოვში კავკასიის საღამოს გამართვის ნება არ მიუციათ სომხის სტუდენტებისთვის და ამ გარემოებით ისინი დღე გაქორციელებაში ჩაეარდნილან. ახლა „Новое Обозрение“ იწვევს საზოგადოებას თავის წვლილის გამოსაღებათ. ამის გულსთვის კვირას არის დანიშნული კრება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

* *

ბ.ნო რედაქტორო! უმარჩილესათ ვთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივიმულის გაზთვის საშუალებით უგულსთადესი მაღლობა გამოვეცხადოთ

ბ.ნს მიხეილს მესხს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა სახლობო თეატრისათვის სტენის გასაფართოებლათ საქობო ფიცრების შეგროვებით. შემომპირიველთა სია: აღარია ტურ-ასატუროვმა და ვაბ. აეშაროვმა, თითომ 10 ფიცარი; გიორ. ხვარბალაძემ, კარ. ბაგრაშოვმა და მეთ. ნეფარაძემ, თითომ 3 ფიცარი; ტურ ვართანოვმა, ზაქ. ელჩიევმა, ყარ. ელჩიევმა, ხენ. ოპანეშოვმა, სიმ. ჯაფარიძემ, ვარ. მათუხოვმა, და. ე. ჩინრაძემ, გლანა სირაძემ, იოს. სირაძემ, კირ. სირაძემ და იას. კენჭიევმა, თითომ 2 ფიცარი. დმ. მაცაბერაძემ, სიმ. აკოფოვმა, თად. გრძელიშვილმა, სერ. ცარიელივმა, სიმ. ბრევიძემ, იას. სირაძემ, ექ. ალაიძემ, ის. ფარქოსაძემ, ფირ. ბეგაშვილმა, ზაქ. სირაძემ, პეტ. ბერიძემ, ფარ. სირაძემ, გ. დემეტრაშვილმა, ანტ. ჩინრაძემ, აქ. ქეჩოჩოვმა, სიმ. სირაძემ, ნარ. სირაძემ და გრ. ღვალმა, თითომ 1 ფიცარი. თეატრის მოყვარულმა მ მან. ყველა შემოსენებულ პირთ ეუცხადებთ დიდ მაღლობას ასეთი თანაგრძნობისათვის.

სოფ. ციკუაილი.
გ.რ. დასამაძე.



* *

ბ-ნ „კვალის“ რედაქტორი! საუწყრადღებო ამბავთა შორის ამ წლის „კვალის“ № 50-ში დასტამოვლად ბუტარა შეინიშნა „მგზავრის“, რომელიც უწევებს მკითხველს, რომ „ამ საფესულ ფეხ-სიკეურში მოგზავრობის დროს ერთმა ნაცნობმა ფეხველმა შემომამოვლო, რომ ქისტები ხშირათ გგზარწვენ საქონელს და ცხენებსა... ეს უნდა მიგწეროთ ამასო, განაგრძობს ბ-ნ. მგზავრი, რომ აქ ჩაფურქია ქისტები აზიანო და იმათი ნათესავები და ნაცნობები გგზარწვენ უფრო ხშირათ“ და სს.

რადგანაც ქისტ. ჩაფურთა შორის აზიან. იმისთანა-ნი, რომელნიც მე ზედმოწევით ვიცი ეს არც თვით გაჭყდვენი, არც თავიანთ ნაყოზათ და ნაცნობთ მისცემენ

ქურდობის ნებას, უმოწნ-ღესათ ვისოც, როგორც თვით „კვალის“ რედაქტორს, კერძოთუ ბნ მგზავრი, ან თვით დამისახელონ ის პორტო-მოქმედი ჩაფურთ, ანუ ჩაფურთი, ან ზემოსხენებული ფეხები, რომლისკანაც მე თვით ვა-ვიბებ მის, ანუ მათ სახელს და ტარს.

ამ ჩემის იხიანის ასრულებით რედაქტორ და მგზავრი დამავალბენ ერთი მხრით, მე, როგორც მზრის უფროსს, და, მეორე მხრით, გაწუკვენ სამალო სამას-სურს საქონლის ქურდების მსხვერპლათ. *)

უშორნიღესი მონა
ნ. ი. ალექსიეე — მუსსიევი.

*) იმედი გვაქვს, თვით მგზავრი არ დააყოვნებს ამ საქმის შესახებ დაჭრადღებითი ამბავი მოგაწოდოს. რად.

საქველ-მოქმედო საქმე



ოფ. წესიდან (რაჰის მარია) ვანო ჭიჭინაძე-საგან მოვეციდა ზებირ სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ 10 მან. და 40 კაპ. და შემდეგი წერილი: „თუმცა ჩემ მიერ შეგროვილი წვლილი სულაც სახსენებელი არაა, მაგრამ რაც არის ის კი გულითად შეწირულია. თვით მკითხველსაც კარგათ მოგხსენება, რომ რაჟა მითიუღეთია, თუმცა მე-ცხრამეტე საუკუნეს თვისი განმანათლებელი სხვიდა აქაც მოუშუქებია, მაგრამ ისე კი არა, როგორც სა-ქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ძვირათ შე-ხედვებით ვაზეთებში, რომ რაჰის მარიადან რაიმე კეთილ საქმის სასარგებლოთ შეგროვილიყო რამე-რაჟა მთა-გორიან-კლდიანი ადგილია; აქ მოიპოვება ბევრი ძველი ნაშთი ციხე დარბაზებისა, მონატრე-ბისა, კოშკებისა და სხვა... არის ბევრი ძველი ის-ტორიული თქმულება თითოეულს მათ ნაშთში. მაგ. სოფ. სხეავას დღესაც არის სასახლე თამარ დედოფ-ლისა სახელით „კეარა ციხე“. არიან მომსწრე პირ-ნი, რომელთაც თავის თვალთ უნახავთ ამ ციხეში მრავალი ძველი ნივთი. უნააეთ ისიც, რომ ვილაც უტხოვრეთ ზოგი დაურტყრევიათ და ზოგაც თან წა-უღლიათ. ზარბაზნები კი სოფ. ილიულის ტბაში ჩაფუ-რიათ. ერთი სიტყვით, კაცი ვერ მოთვლის, რაც რა-ჟაში ძველი ნაშთია და მათზე თქმულება. იმედია ზებირ სიტყვაობის შემკრები რაჟასაც ესტუმრება. მე კი ვეცდები „კეარა ციხეზე“ თქმულება შეძლე-ბის და გვართ გვაეცნო მკითხველებს. სია შემო-წერილეთა: თითო მანათი: თაე. ას. ერისთავმა, თაე. შალ. ერისთავმა, კნაიჭ. ზილ. ერისთავს ასულ-მა, ან. ასლ. წერეთლისამ, მიხ. თად. მისისვილიმა,

ბლალ. გორჯენიანმა, მღ. პლატ. ელბაქიძემ, ე. ე-ქინაძემ, 50 კაპ: დავ. ბაქრაძემ, ე. ბაქრაძემ, ნ. მრეველიშვილმა. 25 კაპ: ამირ. ლომთაძემ. 20 კაპ: ყაფ. ჩიკვაძემ, მსურველმა. 10 კაპ: გიორ. ელბაქი-ძემ, ერთმა ვინმემ. 5 კაპ: კაცო მერკვილაძემ.
გ. ჭიჭინაძემ.

ქ-ნო რედაქტორი!

უშორნიღესათ ვთხოვთ თქვენს პატივცემულ ქორნალ „კვალის“ საშუალებით უფულითადესი მად-ლოზა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც არ და-იშურეს და თანაგრძობით შემოსწორეს „ირაკლი მეფის თანის“ სასარგებლოთ თავიანთი წვლილი, ვთხოვთ გამოაცხადოთ მით უმეტეს, რომ ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან და სიმატიურ საქმეს ყველა გულ-წრველათ მოეციდოს, და განხორციელებულ იქმნას ბ-ნი გიორგი წერეთლის (კვალის 41 №) აზრი იმედი გვაქვს რომ ჩვენს მავალითს ბევრი წამაძაფს...
სია შემომწირველთა: თითო მანათი: ი. ქურ-დევანიძემ, სამ. წერეთელმა, ხ. გ. ბერიასვილიმა, გიორ. ნ. ზარბაზნემ. 50 კაპ: ზ. ლეე. ვახუაზიშვილი-მა, პეტ. ნ. ციხისთავმა, სოლ. ციხისთავმა, გრ. ლ. ბახტუაშვილიმა, ივან. მ. ბარძიმაშვილიმა, მ. ს. ბე-რიაშვილიმა, ბაკალ აკოლოფმა. 40 კაპ: ზ. ი. გონ-დაურმა, ვას. სარუხანოვმა. 30 კაპ: იაკობ ზ. სვანი-ძემ, პარმენ კორინთელმა, იაკობ ნ. ნადირაძემ, შალ. კუჭულაძემ, ტ. ელ იაროვმა. 20 კაპ: გ. დ. ჯანი-შვილიმა, დ. ი. ბარნაბიშვილიმა, ლ. კირევიძემ, მ. დ. ჯანიასვილიმა, გ. მიხ. ქურდევანიძემ, ანტ. შა-

ლაღინოვაძე, და ყ. მ. ტურიანცა. სულ 11 მან. 20 კაპ.

ოსკუ სოღ. ქურდუეხანიყ.

აღრინდელი შემოწირულობით შეადგენს 40 მან. 20 კაპ.

ბ. რედაქტორო, გიგზენით 30 მანათს ოხურ. გეთის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა და ზოგიერთ ჩემ ნაცნობებთა შორის შეგროვილს, თავ. რაფ. ერისთვის ფონდისთვის. უმჯობრესესათ ვთხოვთ გამოაცხადოთ სია შემომწირველთა: ნ მ. ტ. კ — ძემ.

3 მან. ზღალ. არ. თ-ხაძემ, ვას. ხუნდაძემ, მოს. ურუშაძემ, 2 მან. ალ. ხობზაძემ, სერ. წერეთელმა, გიორ. მარგალიტაძემ, 1 მან. დე. ახაშაძემ, სპირ. აბესალაშვილმა, ბ. კალანდაძემ, დ. ე — შვილმა, იავ. ქელიძემ, იოს. ქლენტმა, ზღალ. ნიკ. რამი-შვილმა, მღვ. ვა. ხონელიძემ, სერგ. ფარვიშვილმა, ვლად. მაკლაძემ.

გიორგი მარგალიტაძე.

ეს ფული (30 მანათი) გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს.

ჩვენი სახიობა



ღვეანდელს წელს ქართულ სახიობას დაეტყო უფრო დიდი სიკაცხლე. ასე გასინჯე, მუღამ ზანტმა და მძინარა მოთამაშე გუნია-მაც კი უუღადო თავის ძილის გუდა და გამოკოცხლდა. მის თამაშობას ამ ზოლოს დროს დაეტყო სიკაბუტის ქარცეცხლი, თავისებურობის ელფერი. ეს ამტკიცებს, რომ ბ-ნი გუნია თუ მოინდომებს, არც ნიჭის ნაპერწკალი ეკლებდა და არც ხელოვნების ნიშან-წყალი; მაგრამ ზოგა ერთი კაცის ხასიათი ისეთია, თუ წამქეზებული გვერდით არ უღვას, ყურადღებას აღარ აქცევს თავის საქმეს და სიზანტე ერევა. ამ შემთხვევაში ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ დამამ მესხენსა. იმათ მართლაც რომ შემოიტანეს ჩვენ მსახიობთა დასში უფრო მეტი სიცხოველე და გააღვიძეს მათ შორის კეთილშობილური გავიძრება. ეს არის მიზეზი, რომ წელს „ანსამბლი“, ერთობრივი მწყობრი მოქმედება ქართველ მსახიობთა ქების ღირსია. ამ ზოლოს დროს ყველანი იხენენ უფრო მეტ მრეკლინობას, მეტს მხნეობას. ამ გარემოების წყალობით თვით საზოგადოებასაც კი დაეტყო მეტი თანაგრძობა თავის თეატრისასადმი. პარტურა და ლოკები ისე ცარიელები აღარ არიან, როგორც უწინ იყო ხოლმე და რაიცა შეეხება თეატრის ჩარდაუსს, აქ ზომ ტევა აღარ არის ხოლმე.

პირველი დამსახურება ჩვენი სახიობისაც ამით გამოიხატება. ასეთი გარემოება ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ჩვენი თეატრის წარმატება მთლათ ერთანათ მსახიობთა მუყაითობაზე, იმათ ერთუფლობით მოქმედებაზე და მოკიდებულთ. აქაც ერთი დამტკიცებელი საბუთი მისი, რომ თუ მეთაურნი ერაჯან, მაშინ მათი მიმყოფნიც უკან არ ჩამორჩებიან და საქმეც მწყობრათ მიდის ხოლმე.

სიამოვნებით ვეგებებით კ. მესხისა და მისი ნი-

ჭიერის დის ევევია მესხის ქართულის თეატრის ერთ გულ მასხაზურს. ისინი მართლაც მიუცოლებელი საქიროანი შექმნენ თფილისის ქართული სახიობისათვის. იმდე ეგაქვს ჩვენი თეატრის გამგე კაბიტეტიც არაფერს დაშურავს, რომ ეს ორი სასარგებლო პირი მტკიცეთ დაუკავშიროს თფილისის ქართულ თეატრს.

მის ღვაწლი სწორეთ თვალსაჩინო იქნება, თუ ამ ორს წარჩინებულს მსახიობს თფილისის ქართულ თეატრს არ მოაკლებს...

ეკირას 17 დეკემბერს ჩვენ დავესწარით შექსპირის ხუთმოქმედებთან კომედის წარმოდგენაზე: „ანხლი დედა-კაცის დამორჩილება“. ბ-ნ კ. მესხს ამ პიესისთვის დაურქმევია „ჭირვეული ცოლის მორჯულები“. ჩვენ ვეთკობით, რომ ეს უჩანსკენი სახელი სრულებით არ შეეფერება შექსპირის ანხლის ეკატერინას. ერთი რომ „ჭირვეული“ უფრო უზნეო, გულცივს და უხასიათო არსებას შეეფერება; მაშინ როდესაც ანხლი შეიძლება გულკეთილიც იყოს იმავე დროს და თავგანწირული მოყვარული არსებაც, როგორც ეკატერინე ჰყავს გამოყვანილი თვით შექსპირს.

ბ-ნ კ. მესხს, ჯერ როგორც მთარგმნელს და შემდეგ, როგორც მსახიობს, ეერ შეუფენია შექსპირის მიერ დახატული ორ-მუხებოვანი ქალის არსება, რომელიც თუმცა ანხლია, მაგრამ იმვე დროს ღრმით მოყვარული გულიც უტყვს. ის მტარავლია თავის ოჯახში, როდესაც მას კეთილიგულის მამასთან აქვს საქმე და სუსტი გულჩვილი ხასიათის დასთან, ბიანკასთან. ის ანხლობს და თავისი სიანხლით უწამლავს სიკოცხლეს თავის ოჯახს, თუმცა იმავე დროს მას მამაც გულმხურვალეთ უყვარს და თავისი ნახი გულჩვილი დაც. იგი ეძებს მხოლოდ თავის ტოლს, ანუ თავისთავზე უძლიერეს არსებას, რომ დაემორჩილოს და მაშინ გამოიჩინოს სრული სიღ-

აღე თავის ბუნებისა და თვეწაწირული სიყვარული-
ცა. მართლაც ბოლოს მას გამოუჩნდა მისი შესაფუ-
რი საქმრო, რომელმაც პირველ შემხედვებულე იც-
ნო თავის ტალი და სიანხნლემში თავის საცოლოს
კიდევ გადაკაპრბა. მართლაც პეტროშიო, საქმრო
ანხნლის ეკატერინასი, გამოჩნდა ძლიერი, ხასიათ-
შეუღრკალი აღამიანი, მაგრამ მასთანვე სასული
სულგარძელი თვისმისი კაცი, რომელსაც შეუძლია
თავის მიუღლის ღრმათ მეყვარება და თანასწორათ-
ვე მისი პატივისცემა, რაჟი ერთხელვე მიუღლე შექ-
ნება მისი მოჩილია და სათნო ღელაკი. შექს-
პირმა ეს ორი რთული კაცის ზუნება ასე და-
გვიხატა და ჩვენ ზალა ეხილით სცენაზე? ეფ.
მესხისა ეკატერინის რაღონი გამოგვეცხადა რა-
ლაც ეელურ აზარ ღელაკათ, რომელიც
ღანძლითა და მუშტი-კრიით იღლებს იქაურობას.
მას გამოცხადება მისი საქმრო, რომელიც მხეცურ
ქვეყნში აჭორბებს თავის საცოლოს და ეს საცოლო
ამ ეელური კაცის სასტიკ მოქმედებას ქვეშ ისე
იწორთენება, როგორც, უკაცრავათ ნუ ვახლდებით,
გომო, მაიშენი, ანუ ღელალი ეფხი. ქალს ვეპარე-
ბა თავის საკუთარი ხასიათი, კაცობრიული გრძნო-
ბა და მოთვანიერებულს დათეს რომ ჯაქვით დაუწყე-
ბენ საკუნდრუკოთ და სარაკავათ ტარებას, სწო-
რით ეკატერინაც ასეთი ეინმე შეიქნა. მისი სიყვა-
რული ქმრისადმი ბუნების მოთხონილმებით კი არ
იყო გამოწყეული, როგორც ეს შექსპირმა დაგვიხა-
ტა, არამედ ზარდამცემ შიშისაგან. ბოლოს თვით
ეკატერინის დარვიგება ბიანკასი და გორტენშიოსი,
თუ როგორ უნდა მოიქცენ ისინი, როგორც სათნო
კოლეგი თვინათ ქმრებისა, გულის სიღრმიდან წა-
მოხეთქილ და ცხოვრების გამოცილილმით გამ-
წყეულის მცნებას კი არ ჰგავდენ, არამედ თუთიყუ-
შიეთ დასწავლილ სიტყვების რახარუხს მოგავო-
ნებდენ.

ამ სახით ჩვენ თვალწინ დაგვიხატა სცენაზე
შექსპირის მიერ ღრმათ ნაგრძნობი და ცხოვრების
მორეიდან ამოდებული მარავალიტი სურათი კი არა,
არამედ რაღაც ეელური ცხოველის მოთვანიერება.
ახლა თვით წარმოდგენას არ იკითხებ? ეს იყო ერთ-
თი დაუბოლოებელი კლოუნების სუნდრუკ-ზუნ-
ტრული და მგეტი არავერი. ნეტავ შექსპირი რომ
გაცოცხლებულ იყო და დაენახა, მის მიერ გამოხა-
ტული ცხოვრების სურათი თუ რა საკუნდრუკოთ
გებდათ, რას იტყოდა? — წამიყვანეთ, მალე წამი-
ყვანეთ და ისევ დამზარებთო — იტყოდა.

იკით, ბატონებო, შექსპირის პიესებს ევროპა-
ში როგორ ეყარობიან?

ამ დროს ეს ქალაქი ხელოვნების სატატო ქალაქი
ქათ იწოდებოდა. მას ეძახოდენ გერმანიის ათინათ.
იმ დროს მეუბოდა ბაგრაიაში ლუდოეკოს მეორე,
რომელიც მთელი თავისი პირად სამეფო შემოსა-
ვალს მ-უნუნის სამეფო თეატრს და ვაგნერის ბაი-
როიტის სცენას ანდომებდა. მაშინ მიუნუნის სამე-
ფო თეატრში სცენაზე გამოდიოდა წარჩინებული
დრამატული მსახიობი მთელი გერმანიის პოს-
სარტი. ეს სამეფო მსახიობთა დასი ორი თვის წინათ
გამოაცხადებდა ხოლმე: „ჩვენ ახლა უნდა შევედგეთ
შექსპირის მა-და-ამ პიესების წარმოდგენას, ორი
თვის განმავლობაში ყოველ ღღე ვარჯიშობა გვექ-
ნებოდა და ძლიეს იქნება მოვასწოროთ მათი შესწა-
ვლა“. ყოველი მსახიობი, რომელიც შექსპირის პიე-
სების წარმოდგენას განიზრახავს, უნდა იყოს ღრმათ
განვითარებული მისი ტიპებს მეცნიერულათ შე-
სწავლით. სხვა რომ იქით იყოს, გერმინუსის მეც-
ნიერული განხილვა შექსპირის კლასიკური ტიპე-
ბისა მაინც უნდა ჰქონდეს მას გულდასმით წაკით-
ხული. უამისოთ, რაც უნდა ნიჭიერი და შრომის
მოყვარე იყოს მსახიობი, ტყუილათ ნუ იჩნება
შექსპირის ტიპების რაღონი გამოსვლას. მეორე არც
იმას ევრჩევეთ ვისმე, რომ შექსპირის თხზულებანი
რუსულადან ქართულათ თარგმნოს. ეს იმას ეგზა-
სება, რომ ცოცხალი კაცის სახე მისი აჩრდლით,
ანუ სილუეტით გაითვალისწინო. არ შეგვიძლია,
ამასთანვე ისიც არ გუსაყვედუროთ ბ-ნ კ. მესხს, რომ
სხვათა შორის მისი თარგმანი ძალიან კუჭლობს
ქართულ ლექსთა ბუნებერე მიმოხერამა. ნეტავ ეი-
ცოდე, რა ქართულია. „დაეკოლიანდო?“ ნუ თუ
დარბაისელი ქართულის მალაპარაკე იტყვის რა-
დ-სმე ამ ფრაზას: „უნდა დაეკოლიანდო?“

ამ მკორე ვაკეთილს, იმედი მაქვს, კ. მესხი
გულდამშვიდებით მოვიცნის. ჩვენ ვთვამებთ მის
შრომას, მის ხელოვნურ გრძნობას, მის სცენის კულ-
ნას. მით უმეტესათ ფიხომანი უნდა მოიქცეს ის
კლასიკურ პიესების თამაშში. იგი ნუ დაიფიყებს,
რომ მის დას ეფ. მესხისას დიდი ბუნებითი მსახიო-
ბის ნიჭი აქვს. მაშასადამე მან უნდა უჩიროს მას,
სანამ დიდ მნიშვნელოვან რაღს აიღებდეს, თვით
პიესა წაკითხოს, კარგათ შე-სწავლეს, როგორც
პიესის შინაარსი, ისე მისი სათამაშო რაღის მნიშ-
ვნელობა და თუ თვითონ ეფ. მესხისამ ვერ დაირა-
ხებოდა პიესის და რაღის შეგნებას, მამ უნდა და-
აგებინოს და აუხსნას იგი. ამგარი შრომით კ. მეს-
ხი დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ სცენას
და მის ნიჭიერ დასაც.

მაკალითათ მექდაეცსწარი მიუნუნენი 1874 წ.

მაზაკალი.

ქართლ-კახეთის შერტების ისტორიიდან.

შემდეგი *)



აბტუსაღეს თუ არა ყველა ერეკლეს მოლაღატენი, მეფემ მაშინვე აფრინა დასაბარბლოთ მკვირცხლი მსრბოლულები ქართლ-კახეთის თავდაზნაურებთან და პირველ ვლებთა ოჯახის შვილებთან. აგრეთვე მეფის ბძანებით უნდა ჩამოსულიყვენ ქალაქში მითილენი, ფშავ-ხევისურენი და თუშენი. გავიდა ჩამოდენიშე დღე და მრავალი ქართველი მისწრაფებოდა საქართველოს დედაქალაქისკენ. თბილისში მოკროვდა დიდ-ძალი სხედა-სხეა წოდების ხალხი. დაბარების მიზეზი კი კარგათ არაფერ იყო, ამიტომაც იყო საშინელი მითქმამოთქმა და ბაასი: ზოგი რას ამბობდა, ზოგირასა... ხალხმა ქალაქშივე შეიტყო, რომ ბატონიშენენი პაატა და დავით დატუსაღებულნი იყვენ. ამ გარემოების შესახებ სხედა-სხეა ზრს აცხადებდენ, მაგრამ ნამდვილათ კი არ იცოდენ, რათ იყვენ ბატონიშენილენი დაბატონებულნი, არ რაში მდგომარეობდა მათი დანაშაული.

მეფე ერეკლეს მოახსენეს, რომ ხალხი ბლომით მოკროვდა, აგრეთვე ქალაქებიცა და თქვენს ვანკარ გულენას ელისო. მაშინ მეფემ გამოსცა შემდეგი ბძანება: ხვალ დილას ჩენს სასახლეში უნდა მოკროვდეთ ყველანი: სასულიეროა წოდება და მთლი საეროა, კარის კაცებმა ეს ბძანება იმავე დღეს ხალხს გამოუცხადეს.

მეორე დღეს დილით მეფე ერეკლეს სასახლეში შეიყარა აუარებელი ხალხი: აქ იმყოფებოდა საქართველოს ქათალიკოსი ანტონ I, რომელსაც თან ახლდენ მღვდელ-მთაგრებო და არხიმანდრიტები, აქვე იყვენ მთელი საქართველოს გამოჩენილი კაცნი, სარდლები და ბევრი დარბაისენი. ეს ამოდენა ხალხი ვერ დაეტია სალხინოში, თუმცა ამ უკანასკნელს, თანამდროვე დამსწრე პირთა მოწმობით, — იცდა ოთხი ადლი სიგრძე ჰქონდა მაზანდრისა, რომ უფრო ბევრი ხალხი დასწრებოდა ამ არა ჩვეულებრივ ყროლობაზე, გარედან სალხინოს რუსენი ასწიეს და ხალხი მოაჯინეშე მოადგა. ერთი სიტყვით, იმოდენა ხალხი მოკროვდა, რომ ძირს ნემსს კურწი არ ჩაეარდებოდა. იქ დამსწრე ქართველი საზოგადოება მეტათ აღლღებულნი იყო. ყოველი ქართველი დიდის გულის ძგერით მოელოდა იმ წამს, როცა მეფე ერეკლე გამოვიდოდა ამ კრებაში; მოლოდინმაც დიდხანს არ დააყოვნა. ავერ გვიღო მეფის საწოლის კა-

რები; ნელი ნაბოჯით ერეკლე გამობძანდა და ბძანდა და თავის ადგილზე. მის აუღლებულ სახეს ერეკლე ბოდა, რომ ძალიან გაჯავრებული იყო. ხმა არავისთვის გაუცია. მეფე რომ გამობძანდა, შემდეგ სალხინოში დაირაჯებნს შემოიყვანეს პურობლინიც და დააყენეს მეფის წინ, ცოტა მოშორებო. მეფის მოლაღატენი მეტათ შეკრთენ, როცა ამოდენა ხალხი დაინახეს. შიშისაგან თვეა ჩალუნეს და ვერ ვაბედეს პირდაპირ ცქერა.. ვეი თქვენ, შინაურო მტრებ! დაღვა თქვენი აღსასრულის დღე. მთელ ს. ქართველოს წარმომადგენელთა წინაშე დღეს თქვენ უნდა აღიაროთ გულწრფელათ თქვენი ბოროტი წადლი და სამართალს თეთი ხალხისაგან მიიღებთ... მოხუცებული პაატა ბატონიშენილი, ქალარათ შემოსილი, რღვა ფეხებ და ხელებ შეკრული და დიდათ აღშფოთებული მძიმეთ სუნთქავდა; აქვე გვერდით უღვა ახალგაზრდა ბატონიშენილი დავით, ერეკლეს გაზდილი, და გავმტერებული ერთ აღგას დეკაურებდა; აქვე იდგენ გლზა ციციშვილიც, ახალგაზ და იასე თაქთაქიშვილიც და მისი მამა, ღრმათ მოხუცებული ოთხმოცი წლის, ელიზბარ თაქთაქიშვილი. ეს უკანასკნელი თავის ხასიათით მეტათ მოუხსენარი კაცი იყო: სრულებით არ თანაუგრძობდა ქართლ-კახეთის შერტებას. ელიზბარ თაქთაქიშვილი ამილახებოთ მომხრე იყო და ყოველთვის ქართლის — სამეფოში სულ იმას ქადაგებდა, რომ ერეკლე ქვეყნის მსარცველია და არა მეფეო. — თქვენ, ქართველებო, ეუბნებოდა ხოლმე მათ ეს ბრძენი მოხუცი, დაგვიწყდით თქვენი უღლება და თვე მოეყარებო; ეს ქვეყნის მსარცველი, ქართლენების გამოხრებელი — ერეკლე, არამც თუ არ ვაგადეთ, არამედ მეფემაც აღირსეთ... ამისთანა უსაუფემლო აზრებს ერეკლეს შესახებ აერცთენდა ელიზბარ თაქთაქიშვილი და მას ერთი ორათ კერესა სცემდენ დიმიტრი და ალექსანდრე ამილახერის შვილები. ესენი გარჩევის დროს სალხინოში არ იყვენ, ავითიყოზობის გამო დიმიტრი მეფის სასახლეში დაატუსაღეს; მისი შვილი კი ხელ-ფეხ შეკრული ციხეში იმყოფებოდა.

ტუსაღები რომ შემოიყვანეს, შემდეგ სალხინოში ჩამოვარდა საშინელი, გულ-საკლავი სიჩუმე. აველა იქ დამსწრე სულ-ვაკენილი ელოდა მეფის განაჩენს ამ შეპყრობილთა საქმის შესახებ. ეს სიჩუმე თეთთან მეფე ერეკლემ დაარღვია: უცებ ყველა-სათვის მოულოდენელათ მან წამოიჩიოკა და შემდეგ შესანიშნავი და ამასთანავე გულდასაწვავი სიტყუები მკაფიოთ წარმოთქვა: «საქართველოს დიდებულნიო და მდბაღლიო! დღეს სულ-ერთიანათ აქა ხართ შეყრილნი. მე თქვენთან ვიყუ, არა, როგორც მეფე,

*) ის. კატალო № 52

არამედ როგორც უბრალო მოჩივარი. თუ თქვენ ჩემს მეფობას მოხედოთ და მეფობისათვის რამართლოთ, წინაშე ღმერთთან გამეციოთ პასუხი. გვედრებით, სწორე სამართალი მოახდინეთ ჩემში და მთში... (მეფემ ხელით აწმინდა ტუსაღებზე) კარგათ გამოჰკითხეთ მათ, რას მემართლებოდენ, რომ ცალმშლით გაწყვეტას მიპირებდენ... მე ამას ცარიელი ლითონი სიტყვით არ გვებუებთ; ხელში ნამდვილი საბუთები მაქვს: აა, ამით მიწერილი წიგნები"... გაათავა თუ არა ეს სიტყვა, მეფემ პაატა ბატონიშვილის წერილები მდივანბეგს გადასცა. შემდეგ ამისა კიდევ მიპართა ერეკლემ იქ ყოფს საზოგადოებას და აღელვებული ხმით წარმოთქვა: „საქართველოს დიდებულნი, ღმერთს თავდებათ გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთესს მეფეს იშოვნით საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დაულოცავ...—თქვა ეს და უბძანა მდივანბეგსა, ხმა მაღლივ წაეკითხა მოღალატეების წერილები. მდივანბეგმა მკაფიოთა და აუტყარბელი წიკითხა ყველა საბუთები. ამ საბუთებზე შინაარსმა ძალიან აწმუთავა ქართველი საზოგადოება. მეფის სალხინაში საშინელი ქრიაშული ატყდა, ხალხი ღელავდა, ვით ზღვა. უფრო მეტათ აღელდენ მითულები, რომელთაც ასე აღტაცებთ უყვარლათ გმირი მეფე. მათ ხმა მაღლივ დაიწყეს ყვირილი: ის ცდილობს მეფის ორგულთა! მითულების მღელვარებამ უკიდურეს წერტილამდე მიადწია; მათ მიმართმეს შემთქმელების დახოცვა და იწიეს კიდევ მოსაკლავათ... მაშინ მეფე ერეკლე ადგა და განიერი სიტყვით დაარბია აღელვებული მითულები. მეფის დარბეგამ იმოქმედა და ყველანი დაამშვიდა. ამას შემდეგ მეფე წაობდა და თავის საწოლ ოთახში შევიდა. მაშინ ანტონ ქათალიკოზს მიუხალბედა თავის ძმის წულს, დავით ბატონიშვილს და ბეგერი უსაყვედურა ამ უგუნური საქციელის გამო. შენ არ უნდა დავიწყებოდა, უთხრა სხვათაშორის ანტონმა, მეფე ერეკლეს პირახული და ამავი. ფერ მიხდილი დავით ბატონიშვილი გაშეშებულივით იღვა და ვერც კი მოახერხა, პასუხი ეთქვა თავის ბიძისათვის.

მთავრად აღუბარის ძირში, მტკვრის რიყებზე მოხდა სახალხო სამართალი. განჩინების საყრდნის უმაღლესი, მეფის მოღალატეებმა სახალხოთ აღიარეს თავიანთი დანაშაული. განჩინებაც დაახლოებებით შემდეგი იყო: 1) პაატა ბატონიშვილს, როგორც საქმის მოათვეს, მებლმემ თავი გაავადებინოს. 2) აგრეთვე ახლელ ბეგის შვილს, დავით ბატონიშვილს, მებლმემ თავი გაავადებინოს. 3) ელით იხარება თაქათბიშვილი, რომელიც უღირსი სიტყვებით იხსენიებდა მეფე ერეკლეს და წინააღმდეგ მოქმედობდა, ცეცხლში დაიწვას. 4) ამის შვილს იესეს ცალი თვალი ამოეკრ-

თვას და ერთი ხელი მოავადებინოს მებლმემ... 5) დიმიტრი ცოციშვილს ენა მოეჭრას. 6) ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოეჭრას, ერთ ფეხზე ძარღვები დაესხიოს და უცხო ქვეყანაში გაივლოს. 7) დიმიტრი ამილახვარს ყმა და მამული ჩამოერთვას; ამასთანვე ვინც უნდა შეესვათ და ისე ქუჩა-ქუჩა ეტარებინათ. 1) — გადაწყვიტეს ეს სამართალი და მაშინათვე შეუდგენ საქმეს. ამასთანვე ეს სასტაკი განჩინება მეფე ერეკლესაც მოახსენეს. ამ განჩინების შესახებ მეფე ერეკლემ თქვა შემდეგი: „მე არ მეგონა, თუ ამისთანა უწყალო სამართალს გადაწყვეტდენ, თორემ თვით მე დავსჯიდი ამ საბრალოთა“. მეფემ მოიხმო ახალად რევან ჯანდიერიშვილი და უბძანა შემდეგი: „ახალად ცხენზე გადაჯექ, საჩქართო მიდი და ჩემ მაგიერ დავით ბატონიშვილი მაინც იპატრევე მე გადამოცენ და მე გადავხადეინებ მას, რისიც ღირს იქნება“. სწრაფი ქენებით გასწია რევან ჯანდიერიშვილი; მაგრამ საუბედუროთა გვიანდა იყო, დავით ბატონიშვილს ევლარ მიუწრო მან, ის იყო საცოდავისათვის მებლმეს თვე მოეჭრა; ბატონიშვილის გავიდა კიდევ ფართხალებდა და თავისავე სისხლში ბანაობდა. რევან ჯანდიერიშვილი გულ-ნაკლული მაშინვე უკან დაბრუნდა და სვედით მოახსენა ერეკლეს ყოველივერი. მეფემ ევლარ მოითმინა და ცრემლები გადმოყარა... დანაჩენი მეფის მოღალატეები დასაჯეს ის საჯელით, რაც განაჩენში დადგინილი იყო...

ასე უბედურათ დაიღუპნენ ქართლ-კახეთის შერთების წინააღმდეგნი. ესენი ხელს უშლიდენ ამ ორ სამეფოთა შემერთებელ მეფეს და ცდილობდენ, რომ ახლათ აშენებულ ერთობის კედლისათვის საძირკველი მალე გაეთხარათ. ამგვარი არა სანატრელი მოვლენა იმავითი არ იყო საქართველოს წარსულში. 1469 წლიდან, როდესაც საქართველო ნაწილ-ნაწილათ დაიყო, ჩვენ სამშობლო ისტორიას ერთი მეტათ სამწუხარო ბედ-იღბალი დაჰყვა: ყოველკეთილ საქმეს, ყოველსავე საზოგადო დაწყობილებას წინააღმდეგი და დამაბრკოლებელი ვარემოება თვით საქართველოშივე აღმოუჩნდებოდა ხოლმე. ეს საშინელი ძალა, რომელიც ასე აქვეითებდა ჩვენი ქვეყნის წინსვლელობას და წარმატებას, იყო შინაურითვე მტერი. ვერ შეჩერდა ამ შინაურ მტერთა მოქმედება რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და კიდევ ამათ დღეებზე სამუდამოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო. ამ შრავალ საუკუნოვან ისტორიის სიგრძეში ვაპკრენ პოლიტიკურ წინ მხედველობას მოკლედ-

1) ახ. თაკლე ბატონიშვილის ნაშრომი, ისტ. გეოგ. და ქართლას გს. ნაწ. I, თ. 506.

ბული ჩენი წინაპარნი. თეიანთ ჩამომავლობას მათ სანუგეშო არა დაუტოვესრა. ხანგრძლივის მოქმედებით ჩენმა წინაპრებმა დავემტკიცეს მხოლოთ თეიანთ უძღურება, რომელიც იყო შედეგი დიდი ხნის უთანხმოების და ერთი-ერთმანეთის ლალატისა.

მათ ეერ შეიგნეს და ეერ შეითვისეს ის დიად და ამასთანავე მარტივი აზრი, რომ ერის ერთობა არის უზუნაესი და ბუნებრივი კანონიერება, ურომლისათ ხალხის წარმატება ყოველად შეუძლებელია და მოუყენებელი...

აღ. განსკვანაშვილი

სოფელი და სასოფლო შკალოა

გაჭმანაში. *)



ოფელი ძლიერ პატარაა, ჩამოდენიმე წუთში თეიდან ბოლომდე მოივლი. უეჭველია მისი შეიღნი ქალაქ გაუტაცნია და თეის მორევეში ჩაუთრევი. სოფელს მოკრული აქვს სამუშაო მიწა-ადგილები, განსაკუთრებით საბოსტნო და სახილე. ვადხართ იქით და ზედათ აქეთ-იქით გაბნეულ მუშებს. ათეალიერებთ ახლის და გიკერთ, რომ მამაკაცები არ ჩანს. მუშები დედაკაცებია. გზურებულ დღეს, მზას დამწველ სხივებს ქვეშ თეტიტეულა ქალები ბართ, ფოცხით და სხვა იარაღებით მიწდორზე დატროლებენ. ზოგი ბალახს თიბავს, ზოგი კართოფილს ყრის მიწიდან, ზოგი ხილს კრეფს, ყველა თეეთეის საქმეშია გართული. იქ ჩადილში ზოგს ავეანი უღვას, სადაც პატარა ბავშს ტბილათ ჩაძინებია. ცხადია, სახლში არაიენ დარჩენიათ, რომ მოზრდილი ბავშვი იმითათ დაეტოვებინათ. იქვე თქვენ შენიშნათე ცარელი და საეს ლელის ბოთლებს, ნატეს პურს და სხვას. მამაკაცები საღა არიან? ისინი მუშაობენ დღის ქრანზე ქალაქის ქარხნებში, ან სხვა რაიმე ქალაქის სამუშაოზე. საღამოს კი სახლში ბრუნდებიან. დედაკაცებს თეიანი ნაშრომი ქალაქში მოაქეთ გასაყიდათ. თუ მათი ნახვა გსურთ, უნდა დავდეთ დღიას, ან საღამოს, ქარაგზაზე, აქ ერთი განუწყვეტლი მისეღა-მოსეღაა, მათელი ხელით მიავორებენ პატარა ურემს, დატერთულს მწენილით, ხილით და სხ. ამთ წინდაწინ აქეთ საწყობი ალაგი აჩენილი, თუ ხელით გაყიდვა ეერ მოასწრო, ის იქ ტრეებს და საქართ ბრუნდება შინ, რომ სამუშაოს არ მოცდეს. მაგრამ სოფლის ნაწარმოები ქალაქს არ ყოფნის. ამიტომ ქალაქებში შემოაქეთ ითეე ნაყოფი შორეულ პრაიენტებიდან და ხშირათ შორეულ სახელოწოფობები დანაც. მაგ. ქ. შტუტგარტში არსებობს „ხილის შემამატანი საზოგადოება“ (Obstimportverein) და შედგება სამოცი წეე-

რისაგან. შემოაქვს ეგონებთ სხვა-და-სხვანიარი ხილი საფრანგეთიდან, ბელგიიდან, აესტრიიდან და პრუსიიდან. თითო ეგონი (600 ფუთი) ადგილობრივ უჯდება 200 მარკა (ერთი მარკა ცხრა შაურია), ჩამოღება კი 600-700 მარკა. ბაზარზე ასაღებს 1000—1100 მარკათ. ამით, ჩასაკერიეღია ახლომახლო სოფლებს დიდ კონკურენციას უწევენ. თუ კიდევ არ დავემულა სოფელში მეურნეობის ეს დარგი, ეს იმტომ რომ ბაზარი ფართია და ახლოდან მიტანილი ხილეულობა უფრო კარგი ღირსენისაო, ეინემ ეგონებთ ხუთი-ექესი დღის ნამგზავრი. დედაკაცები მინც ძალიან ემღურებთან ასეთ გარემოებას, გულს იკეთებენ იმთ, რომ თუ აქ ეერ ენახეთ ხეირი, სხვა რაიმე მოკვიღებთ ხელსო. ისინი განსაკუთრებთ ბერეს ეაქრობენ რძით, ისეთი ოჯახი იშეიათაო, სადაც ერთი-ორა ძროხა არ ემას. ყველას არ აკეთებენ და რომც გააკეთონ არაიენ, იყიდის, რადანაც ისეთი არ გამოევა, რეგორც ყველის საეანებო ზეფოდებში მზადდება. დედაკაცები რძეს აგროებენ ჭურჭლებში და გზავნიან ქალაქში გასაყიდათ. საღამოობთ მზაზე შეხვლებთ ქალაქიდან მომავალ ან მიმავალ მთელ რაზმს ასეთი მერძეე დედაკაცებისას. ზოგს მზარზე უღვას ეეებერთელა სპილენძის ჭურჭელი, ზოგს კი ხელით სატარებელ ურემში ულაგია და მიეზიბება. ერთი სიტყვით სოფელი ან ორი დარკით ეაქრობს, სხვა არაუფერი გამოდ-ს მეურნეთა ხელიდან. დედაკაცები სოფელში მუშაობენ, მამაკაცები ქალაქში. ორეე შემთხვევაში მათი ცხოერება მკიდროთ შეეკაშირებულია ქალაქთან. ყანები, ეენანი და სხ. მათ არ აქეთ. მართლია, აქა-იქ ფერდობებზე ეენახია, მაგრამ ის ეინემ ბურეუას ეეთენის რ გლეხი შიგ დლიურ ქირანზე ეუშობას.

ეკირა დღეს სოფელწნი მიკაზმული-მოკაზმული ქალაქში მიდიან დროს გასატარებლათ. აქ მათ უხედება მრავალ-ნაირი გასართობი ადგილები, რომელთა შორის პირველი ალაგი თეატრს უქრავს. შტუტგარტში ყოველ ეკირა ნაშუადღევს სამეფო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა, განსაკუთრებით სოფლის ჩაღბისთეს. დემენ დრამა-კომედების, იშეია-

*) ის. კაგლო № 52.


